თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1774884

ნომერი: AR1290652

თარიღი : 02.03.2015

გაცემის თარიღი : 10.03.2015

გაცნობის თარიღი : 11.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალუბლები , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ალუბლები , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ალუბლები , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა, შესახვევი II, №21, სართული 10, ბინა №48

ორგანიზაცია:

- შპს "მევატეკ ჯე" კოდი: 404405899

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორპუსის I სართულზე არსებული ავტოფარეხების ნაწილობრივ კედლით და ნაწილობრივ ლითონის ბადით (ჭიშკარით) შემოფარგვლის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ალუბლების ქუჩა, N3, შპს "მევატეკ ჯე"-ს კუთვნილი ავტოფარეხების ნაწილობრივ კედლით და ნაწილობრივ ლითონის ბადით (ჭიშკარით) შემოფარგვლის განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (არსებული ავტოფარეხების საჯარო რეესტრის მონაცემების N 882015098315 27/02/2015წ. N 01.17.07.031.049.01.02.500; N 882015098398 27/02/2015წ. N 01.17.07.031.049.01.02.501; N 882015098401 27/02/2015წ. N 01.17.07.031.049.01.02.003; ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზები) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ალუბლების ქუჩა, N3, შპს "მევატეკ ჯე"-ს კუთვნილი ავტოფარეხების ნაწილობრივ კედლით და ნაწილობრივ ლითონის ბადით (ჭიშკარით) შემოფარგვლის განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.